

დღეღვა

№2. 2005 წელი



ქ.

უძველესი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადათ;
ვინ არის, სიღამ მოსულა,
სად არის, წაგა სადათ?



ჯანო ჩხიკვაძე

100 წლის „დილა“

გზებს გამოვლილს ათოვს და
 გზებს გასაღებელს აწვიმს.
 გაუმარჯოს ასი წლის
 ზირმშენიერ ეძაწვიდოს.
 დაუხვია, მომაგრდა,
 არ ეოფილა ბურწი,
 საუკუნის კიგოხე,
 როგორც ვაჟის ლერწი.
 თუკი თოვლი ჩამოდნა,
 გადაიდებს წვიმაც,
 ვიდრე სიტყვა ქართული
 მის ფურცლებზედ ბრწყინავს!
 ჰოდა, სინარულიგან,
 მუც გაეჭიბე ვირა -
 გაუმარჯოს დღევანდელ
 და სვალინდელ „დილას!“

ვარ მღვიძარი თუ არა,
 ან თუ ღრმა ძილით მძინავს,
 თავს მადგას, როგორც ხანა,
 ჩემი ღამაში - „დილა“.

სარკმელს მოდგება მზევი
 და სარკმელს ჰკითხავს: „უინ არს
 მანათობელი შენი?“
 არის ზახუსი: „დილა“.

ზატარა გოგო ფერდობს,
 სად ია-იებს სძინავთ,
 მიჰკუება და ღმერთს შესთხოვს:
 „ღმერთო, მიცოცხლე „დილა“.

საქართველოსი მუილი
 იქ, ნაკადულის ზირად,
 შრიალემს ფრთებუკამილილი
 ჩემი ღამაში „დილა“.

გაუნქერი სუჯას დახრიდს,
 ღვთიურ დიმილით მღიმარს,
 და ციდან ვისმერ ძახილს:
 „ჩემი ღამაში „დილა“.

იქეთ რომ წვარო მღერის,
 ცრემლი ასხია მძივად,
 აქეთ ირსევა ლედი,
 შიგ უღლუღლიობს „დილა“.

ვარ მღვიძარი თუ არა,
 ან თუ ღრმა ძილით მძინავს,
 თავს მადგას, როგორც ხანა,
 ჩემი ღამაში „დილა“.

«ჭალბარ ბავშვი»

ინმის უკედავი „დილა“
 და მუც ვიმღერი ქარში,
 როცა შენ გაიდიმებ,
 ხარ ასწლოვანი ბავშვი.
 გასსოვს, დიდი ხნის წინათ
 დღეები შენი დღევის?!
 ახლაც იმკვარად ბრწყინავ,
 ახლაც იმკვარად მღერი.
 ქარი მოდენის ნისლეებს
 და მღერის „დილა“ ქარში,
 ვანა ვინახავთ ვინმე
 ჭალბაროსანი ბავშვი?!



შატავარი მანანა მორჩილაძე



ფესვები

ტყის პირას, ხასხასა მწვანე მოღზე, სამი გვირილა ამოსულიყო. პირველს ისეთი ყვითელი გული ჰქონდა, გვეგონება შვე მზე ჩაყარდნაო. ამიტომ მას მზისა შეარქვეს. მეორეს თოვლივით თეთრი ყვავილის ფურცლების გამო თეთროს ეძახდნენ. მათ შორის პატარა გვირილა ამოწვერილიყო, რომელიც მეზობელმა გვირილებმა პაწილად მონათღეს.

მზისას და თეთროს უპირავე ფრთაჭრელი პეპელა სტუმრობდა: ყვავილებზე მოკადათდებოდნენ და ტკბილი ნექტრით პირს იტკარუნებდნენ. იმის გამო, რომ ჯერ ერთი ციცქნა იყო, პაწილს პეპლები არ ეკარებოდნენ, ამიტომ უმცროსი გვირილა სულ გაბუტული და უხასიათოდ იყო. ახლაც თავი დასჯილივით ჩაქეინდრა და წუწუნებდა:

- მე პეპლებს არ მოეწონვარ, იმიტომ რომ ასეთი დაბალი, უთვალტანადო და გონჯი ვარ.

- არა, პაწი, - მზისამ მისი დამშვიდება სცადა, - ჯერ ნეკისოდენა ხარ, თანდათან გაიზრდები, გაღამაზდები, ჩვენსავით გაშლი შენს ღამაზე ყვავილს და ნახავ, რომ პეპლები არ მოგშორდებიან.

- გაზრდაში ფესვები მიშლიან ხელს, პატრია-რითი მიწას მიმაჯაჭვებს, დამატუსაღეს და გასაქანს არ მამღევენ, - დამწუხრებულ გვირილას სამწრის ცრემლი ჩამოუვორდა.

საუბარში თეთრო ჩაება:

- რას ამბობ, პაწი? ჩვენ ყველანი ფესვებით ვართ ძლიერნი, ისინი გჰკეპებენ, ისინი გჰრდიან და, რომ არ წაიქცეო, საიმედოდ გვიჭერენ.

- ფესვები არ მჭირდება, ისედაც კარგად ვიქნები, - ამოიხზრა პაწი, - ნეტა ვინმე დამეხმაროს და ძირში გადამიჭრას, ამ ბორკილებსგან გამათავისუფლოს, მერე ნახეთ, რა ძალადი და ღამაზი ვავს-

დები, ყველა პეპელა ჩემს დანახვაზე გადაირევა, გვერდიდან აღარ მოშორდებათ.

- პაწი, ასე ნუ ლაპარაკობ, უფესვებოდ გავხმებით, გავცამტვრედებით და გაეკრებით. ყველას ცხოვრება ფესვებიდან იწყება, - მზისამ პაწის მოძერო ყვავილს ფოთლოვანი გადაუსვა, მიუფერა:

- ნუ მეფერები! - თავი გააქანა ციცქნა გვირილამ და ცრემლი დაჰაღუპით წამოუვიდა.

ყვავილებთან ახლოს, სოროში, ფესვების მღრღნელი, ბოროტი და დაუნდობელი მწერი მახრა ცხოვრობდა. გვირილების საუბრის გაგონებაზე მახრა სოროდან ამოძვრა, ტალახისფერი ტანიდან მიწა ჩამოიბერტყა და მაკრატელა საცეცხით პაწისთან მიბობდა:

- მე გიმშველი, ფესვებისგან გაგათავისუფლებ, - მახრა ცბიერი ღმილით შესცქეროდა პატარა გვირილას.

ამის გაგონებაზე მზისას და თეთროს ელდა ეცათ:

- წადი, გაგეშორდი, მახრავ! - ერთხმად დაუფერეს აგვულ მწერს, - პაწის ფესვები ხელს არაფერში უშლის...

- გაჩუმიდი, თქვენ ვინ გვეითხებთ?! - წამოიძახა გაზარებულმა პაწიმ - ჩემი გადამრჩენი მოსულა, თქვენ კი აქედან აგდებთ?! - მერე მახრას სიყვარულით დააცქერდა და სთხოვა: - ჩემო კარგო მახრუნავ, ეს ოხერი ფესვები გადა-

მიჭერი, მომაშორე, რომ გავიზარდო, გავღამაზდე და ამ სიკეთეს მთელი სიცოცხლე არ დავივიწყებ.

- აუცილებლად, პატარავ, შენ ოღონდ მონდომე და მე აქ ვარ, - მახრამ აღარ დაახანა და პაწის ძირში მიწის თხრას შეუდგა.

- მახრუნავ, ხომ არ შეტკინება?

- არა, ყოველნაირად ვეცდები, არ გეტკინოს,



- უპასუხა მახრამ და თხრა განაგრძო.
 - რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი ვარ! - აღტაცებული გაიძახოდა პატარა გვირილა.

- პაწო, მახრას არ დაუჯერო, მიიშორე თავიდან, თორემ უფესვებოდ დაიღუპები! - სიბრალულით უთხრა თეთრობ.

პაწოს უფროსების სიტყვის გაგონებაც არ სურდა და მის ღეროსთან მოფუსფუსე მწერს დიდი გულიწყურით დასცქეროდა. თხარა და თხარა მახრამ, ბოლოს პაწოს ერთ-ერთ ფესვს მიადგა და გადაღრღნა.

- ვაი, - ტკივილისგან შესძახა ყვავილმა.

მახრა მიწიდან ამოძვრა და გვირილას კითხვა:

- ხომ არ გეტყინა?

- ცოტა, მაგრამ მიდი, გააგრძელე, ნუ შეჩერდები, ამ ტკივილს გაუძლებ.

- კარგი, ჩემო პაწუკავ, საქმეს მიხეზდავ, - მიუგო მახრამ და ისევ მიწაში ჩაძვრა.

ამ დროს პაწომ შეამჩნია, რომ მისმა ერთმა ფოთოლმა მოიწვინა, თავი ძირს დაუშვა და ჭკნობა დაიწყო. მეორე ფესვს მეორე ფოთოლი მიჰყვა, მესამეს - მესამე და თანდათანობით ყველა ფოთოლი პირველის გზას დაადგა.

- მიშველეთ! - უფროს გვირილებს გადასძახა შემინებულმა პაწომ, მაგრამ გვიან იყო, მახრას ვეღარ შეაჩერებდნენ, - მიშველეთ! - ისევ შესძახა ყვავილმა.

ამ დროს მიწიდან მახრა ამოძვრა:



- ცოტას დავისვენებ და მთავარ ფესვსაც გადავღრღნი.

- მახრავ, აღარ გინდა, ეგ ერთი ფესვი მაინც დამიტოვე, - შეევედრა პაწო.

- რას ამბობ, პაწუკავ? - გაუკვირდა ბოროტ მწერს, - სწორედ ეს მთავარი ფესვი გიშლის ზრდაში ხელს და ახლა აღარ გინდა გადავღრღნა?

- არა, მახრუნავ, რამდენი ფესვიც გადამიჭერი, იმდენი ფოთოლი გამიხმა და ახლა თუ მთავარ ფესვსაც დაკარგავ, ალბათ საერთოდ დავიღუპები...

მეზობელმა გვირილებმა პაწოს საუბარი არ დაამთავრებინეს და დაუნდობლ მწერს დაუყვირეს:

- აქედან წაეთრიე, მახრავ! პატარას ატყუებ და მისი მოსპობა გინდა?!

- არსადაც არ წავალ, - ჩაეცინა მახრას, - მთავარი ფესვი ყველაზე გემრიელია და, სანამ პირს არ ჩავიტკბარუნებ, აქედან ფესვსაც არ მოვიცვლი, - თქვა და ისევ მიწაში ჩაძვრა.

უფროსმა გვირილებმა ერთი ამოიხსრეს, მაგრამ რა უნდა ექნათ, მახრას როგორ მოერეოდნენ? მათი გაჭირვების ამბავი ხეზე მჯდომმა შაშვმა გაიგო. გაჯავრებულმა ერთი დაიჭახუჯახა: „იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი“-ო, ხიდან ჩამოფრინდა და პატარა გვირილასთან დაჯდა. ჯერ ფეხებით მიწა გაქექა, გაქექა და, ის იყო მახრას მთავარი ფესვი უნდა გადაეჭრა, რომ ნისკარტი ჩაავლო, ფრთები ღლივრად დაიქნია, შორს, ძალიან შორს გაფრინდა და ბოროტი მახრა ღრმა ტბაში ჩაავლო.

პაწოს გადაჭრილი ფესვები ნელ-ნელა შეუხორცდა, ტანი აიყარა, გალამაზდა და ყველა პეპელას მასპინძელი შეიქნა.





დედისერთა

ჩიორას და მელიის ზღაპარი

მშობლებს ებუსდუნება
დედისერთა შაშო:
მე არც და მუაუს და არც ძმა,
ვისთან ვითამბამო?
კითხვა მაინც ვიცოდე,
ან ვიტოდე წერა,
აღარ მინდა მთელი დღე
მულტფილმების ცქერა.
გეტუა მაინც შემეძლოს,
ან შემეძლოს ქარგვა,
გაგონებდა ამდენი
დროის კემად კარგვა!



ჩიორას და მელიის
ზღაპარს როცა ვარწვევდით,
ღათომ: - დედის ადგილზე,
ბარტუქებს გადავარწუნებდი.
გადავსხამდი სხვა ხეზე,
აუნდებოდი ახალ შარს,
და ჩვენს ბოროტ მუღიანს
დავტოვებდი ხასხამშრალს.
შონადირუს ვუტყვოდი...
რას იზამდა მელია?!

ისე, დედა ჩიორა
დიდი უდარდელია!

ლია კობალაძე

ჭინკები

ერთი ჭინკა,
ორი ჭინკა,
ბრახ, და ... გატყდა ორი ჭინკა.
ერთი ჭინკა,
ორი ჭინკა, -
კობივ გახინდა აქა-იქა.
გადაიქცა ბაბუ ფიქრად:
ის შესამე რაღა იქნა?
ის შესამე ვუვრდით, იქვე,
კუნჭულ-კუნჭულ ოთახს იკლებს...
- ეს, ჭინკებო,
ეს, ჭინკებო,
სად ბრძანდებდა თქვენი ბუბო?
- ბუბო? ბუბო ღონეს იკრებს,
რომ გაუმლოს ცუდლუკ
ჭინკებს...
ჭინკები კი უშმაკობენ
და ითვლიან შუბლსე კობებს.





რეზო ანაძი

იყო ერთი ჩიტი
შტერი, შიპიტი.
კიდევ იყო ძერა,
ფლიდი, გაიფურა...
და ეს ფლიდი ძერა
ჩიტს ვადაუძერა,
უთუნია შიფინაუდა
იმის დასაქერად...
მაგრამ იმ ჩიტს ძერა
ვერ დააკლეს ვერას,
იმითმ რომ ჩვენი
ლექსი დაიწერა...



მარიამ ნიკლაურ-ძიძიშვილი
სოჭო პელო

სოჭო-პელო, ფაუსკე,
საქმეს როგორ აუხვად?
ჩქარა მორწყე ბოსტანი,
ქონდარს ძირი გაუსმა.
სოჭოს ვითომ არ ესმის,
გზას ჩაკუნით გაუყუა.

მზია ჩხატიანი

შწვანე ზღარბები
შწვანე ქაღვებით
შწვანე ტოტებსე სხედან,
ნეტა რას ჯამენ,
ნეტა რას სვამენ,
ან რას უძღვრით დედა?
დაიზრდებიან,
დამიძულდებიან,
მერე კენტად თუ წველიად,
წკაპუნ-წკაპუნით
და ასკინილა,
ველა ძირს ჩამოცვივა.

გამომანები
ჟაბიძვანე ჟილაშვილი

შისფერი გამომანწორი
დუღუნით მისდევს ღარსაო,
ჩადგება, აღივლივდება,
დაუმსვავსება ტბასაო.
დოქებით ჩამორიგდება,
სუფრის მშვენიებად სმობილი,
იმითი დაილოცება
ველა მოყვარე, მშობილი.

მხატვარი ნათია არველაძე



ჯაბირინთი

ბავშვებისათვის
განათლების



რომელი ვხედავ უნდა წაიღებს
პატარა ზანგი ბიჭუნა, რომ
მტაცებელ ცხოველს არ
გადაეყაროს და შინაც მშვი-
ლობით მივიღებს?

მხატვარი
ქაიხი ბიჭიშვილი

ფრთოსანი ფეიქრები

ცხოველთა სამშენებლო საქმიანობა საოცარი და მრავალფეროვანია. გაცივებს ინვესტიციების დახარჯებით ბაღ-ქსელები, ტერმიტების უზარმაზარი და მრავალსართულიანი შენობები, მინისქვეშა სათბურები, ჩიტების ნაირ-ნაირი ბუდეები. ფრინველთა სამეფოში ამ საქმეში ბადალი არ ჰყავთ ფეიქარ ჩიტებს, რომლებიც ბუდეს კი არ წნავენ, არამედ ქსოვენ. მათი ბუდე-სახლის მოყვანილობა მხარე ხაზს (გოგრას) მოგაგონებს. ის ხელოვნურად წვრილი ძაფებისგან მოქსოვილი „ნაგებობაა“. შიდა მხარე რბილი ბუმბულითაა მოფენილი.

ამ ფრინველების ბუდე ერთი თავით მიმდგრებულია ხის ტოტზე და ისეა ჰერმეტიკული, როგორც მსხალი. ხოლო ის თავი, საიდანაც შესასვლელია დატოვებული, ყოველთვის ძირს არის მოქცეული. ნაქსოვი ისე მჭიდროა, რომ ნაბდისგან ვერ გააჩრევეს.

წარმოსადგენადაც კი ძნელია, თუ როგორ აკეთებენ ასეთ რთულ რამეს. ეს პატარა ჩიტუნები, რომლებსაც გარდა ნისკარტისა, არავითარი იარაღი არ გააჩნიათ. ფეიქარი ჩიტები ცხოვრობენ ჯგუფებად და ყველანაირ საქმეს საერთო ძალით აკეთებენ.

აფრიკის იმ ადგილებში, სადაც ეს ფრინველები ბინადრობენ, ხეები ისეა დაფარული მათი ბუდეებით, როგორც კარგად მსხმოიარე მსხლის ხე. ბუდეების საკეთილად თავს იყარის 200-300 ახალგაზრდა ჩიტი. ამოირჩევენ ერთ ხეს და დაუწყებენ ფოთლებს წვრილ-წვრილ ძაფებად წუნვას. ჩიტი ეშვება ზევიდან, სწვდება ნისკარტით ფოთლის ბოლოს, დაუშვებს ფრთებს და მთელი ტანის სიმძიმით ძირს მიეჭანება; თან ფოთოლს ძაფით წვრილ ნაწილს აცილებს. ჩაიგდება რა ასეთი ხერხით მასალას ხელში, ჩვენი ფეიქარი მიფრინავს საბუდარისკენ და იწყებს ქსოვას.



გაფცქვინან ასე ერთ ფოთოლს, შემდეგ გადადიან მეორეზე, მესამეზე და რაღაც ორ-სამ დღეში ლამაზად შეფოთილი ხისგან ტიტყველი ტოტებილა რჩება. მუშაობის დროს ისეთი ყვირილ-ხივილი და ხმაურობაა, რომ კარგა მოშორებით გაიგონებს ადამიანი. მუშაობით ისე არიან გატაცებულნი, ხშირად ადამიანის მიახლოებასაც ვერ ამჩნევენ და ხიფათში ებმებიან, თუმცა შავ-კანიანები მაინცა და მაინც არ იცხებლებენ მათთვის თავს: ექცევიან ისე, როგორც ჩვენ ბელურებს. ფეიქრების მთელი ახალშენი სახლდება უსათუოდ ერთ, და თან ისეთ ადგილას, სადაც წყალია. რაც უნდა მრავალრიცხოვანი იყოს ახალშენი, ყველა ბუდე უთუოდ წყლისკენაა გადაკიდებული, რათა ვერც ერთი სულდგმული ვერ მისწვდეს ბუდეს.

ბუდეზე მამლები მუშაობენ, დედლები მხოლოდ შველიან მათ. მთელი თვე გრძელდება მამალი ჩიტის მუშაობა. ათავეს ქსოვას და იწყებს მის საბოლოოდ გაკობტავენებს: უსწორებს გვერდებს, აფენს შიგნით ბუმბულს, ამტვრევს გარშემო ისეთ ტოტებს, რომლებიც უშლიან თავისუფლად მოძრაობას. როცა ბუდე მზად არის, დედალი დებს შიგნით ქრელ კვერცხს, რომლებიდანაც მეთორმეტე დღეზე ჩეკავს ბარტყებს. ეს ბარტყები ძალიან გვანან ჩვენი ბუდე ბელურების ბარტყებს. თითო ბუდეში ერთ ოჯახზე მტერი არასოდეს არ თავსდება. ოჯახი შედგება დედა-მამისა და ბარტყეებისაგან. იჩეკება თუ არა ბარტყები, ყოველივე საზრუნავს დედა თავის თავზე იღებს; ახლა მამალი ისვენებს. დედა ჩიტი ზრუნავს გამოკვებაზე, ბუდის შეკეთებაზე და სხვა. მამალი ხის იქვე ტოტზე და მხიარულად ჭიჭიკებს. მხოლოდ ორჯერ დღეში, დილითა და





ბუდეს დაეუფლებიან, ასეთს მაშინვე მივარდებო-
ბიან დანარჩენები და აგდებენ. ბუდეს შიგნით
და ქარს ატანენ. მტაცებელთ კი სულაგვეყვეს
ჯგუფიდან და დიდხანს ჟივილ-ხივილი და
დიდი ჩოჩქოლი უდგაო.

მოხდება ზოგჯერ, რომ მიტოვე-
ბული ბუდის დასაკუთრებას სხვა
ჯიშის ფრინველი მოინდომებს. აქ
კი ხუმრობას აღარა აქვს ადგილი.
ფეიქრები შემოეხვევიან ბუდეს და
ნაშში გამოსასვლელს ისე ხლართავენ
ძაღვებით, ასე რომ საბრალო ფრინველი საშუ-
დამოდ რჩება ბუდეში გამომწყვდეული. საერ-
თოდ ფეიქარ-ჩიტებს ძალიან უყვართ ერთობა
და ყველა ძნელ საქმეს საერთო ძალით აკეთე-
ბენ ხოლმე.

მტერი ცოტა ჰყავთ, რადგან მათი ბუდე
ძნელი მისადგომია, მარტო მაიმუნი ახერხებს
ტოტების გაყოლას და კვერცხების მოპარვას.
მას ძლიერ უყვარს ამ ჩიტების კვერცხი, მაგრამ
ფეიქარი ჩიტებც ხშირად უხდიან სამაგიეროს;
არა ერთი და ორი უზანავებით ცივ წყალში.
შეამჩნევენ თუ არა ქურდს, გამოცვივებიან ბუ-
დეებიდან, შემოეხვევიან მტერს და არ აძლევენ
ნაპირზე გამოსვლის ნებას.

ფეიქარი ჩიტები ტყვეობამიც კი დიდი ხა-
ლისით აკეთებენ ბუდეს, მაგრამ
ბარტყებს კი ვეღარ ჩეკავენ.
გაათაბებენ თუ არა ბუდის
ქსოვას, მაშინვე დაშლიან და
ინყებენ ხელახლა კეთებას.
ასეთ შრომაში იტარებენ
მთელ დროს. ქსოვენ და არღ-
ვევენ. უსაქმოდ გაძლება არ შე-
უძლიათ: ასეთია მათი ბუნება.



სალამოს შორდება ბუდეს, იჭერს ჭია-ლუას
და უმასპინძლებდა შვილებს. ბარტყებს ფეი-
ქარი ჩიტები ჭია-ლუით ჰკვებავენ, თვითონ კი
მხოლოდ ხორბლულულობასა და ხის ნაყოფს
მიირთმევენ. მთელი გროვა მიეფინება ბაღს
და ერთ ნაშში მთელი ბაღი იძარცვება. ძალი-
ან ემტერებიან ანანასის ბაღებს.

ორი თვის ბარტყები ტოვებენ ბუდეს და
ინყებენ ჯგუფ-ჯგუფად ფრენას. მთელ დღეს
მხიარულ ჟივილ-ხივილში ატარებენ. მოსალა-
მოვდება თუ არა, ყველა თავის ბუდეში
ბრუნდება. ასე გრძელდება სამიოდე თვე. მე-
ზუთე თვეზე ახალგაზრდა ფეიქრები იცვლიან
ფერს — ნაცრისფერი სხვა ფრად ეცვლებათ.

ახალგაზრდები, შვიცვლიან თუ არა ფერს,
ტოვებენ მშობლებს და იქვე მახლობლად
ინყებენ საკუთარი ბუდის კეთებას. პირველი
ბუდე ვერ გამოსდით მოხდენილი, აკლია სიმ-
კვიდრე და სილამაზეც. ახედ-დახედავენ, და
რაკი არ მოუნონებათ, შლიან და ხელახლა

ინყებენ კეთებას. ასე იქცევიან რამდენი-
მეჯერ, ხან მთელი თვეობით და ნლო-
ბითაც კი გრძელდება ასეთი წვალე-
ბა, მაგრამ რამდენი ხანიც უნდა
გავიდეს, ბუდე ეკუთვნის მხო-
ლოდ იმ დედალ-მამალს,
რომლებმაც ააშენეს ის.
თუ ისინი მიდიან სადმე,
ან იღუპებიან, ბუდე ცა-
რიელი რჩება. თუ
გამოჩნდებიან ისე-
თი თავბედნი, რომ

„ნაკადული“ №2, 1914



მხატვარი სალომა პაიჭიაძე

ბაჭიების სარკე

ფაქიქიძე რაქა



ხტუნაობით დაღლილი ბაჭია წყაროსთან შედგა. გაგრილება უნდოდა. დაიხარა და რას ხედავს! წყალში მასავით პატარა ბაჭია ჩამდგარა და თვალებს კუსავს.

- შენ აქ საიდან მოხვდიო? - ჰკითხა მოსულმა და ცივ წყალში თათი ჩაყო.
- გამარჯობა შენო, - ლიკლიკა წყაროს ენით უპასუხა დამხედურმა და თათი ჩამოართვა.
- არ იხრჩობი მანდა? - ისევ შეეკითხა მოსული და ახლა დასაღვევად დასწვდა წყალს.
- რა დამახრჩობსო, - წკრიალა ხმით მიუგო წყაროში ჩამდგარმა და ტუჩი საკოცნე-ლად მიაგება.
- ამო, ვითამაშოთო, - უთხრა მიწაზე მდგარმა და ამოსვლაში რომ ეშველა, თათი კვლავ გაუწოდა. ის კიდეც წყლიდან ამოსვლას არც აპირებდა, თათზე თათს უტაცუნებდა, ელაბუტებოდა, კინალამ წყალში ჩაითრია. შეშინდა ბაჭია: იმ ადგილას სიპ ქვებს გზა ჩაეხურვა და კარგა დიდი მორევი ლაპლაპებდა.

- ამ ეშმაკმა ცურვა იცის, არც იხრჩობა და არცა, ნეტავი მეც ვცურავდეთო, ინატრა პატარამ.
- თუეზი ხომ არა ხარ, ან იხვი, სულ წყალში უნდა იყო? - ჰკითხა ბოლოს.

- არც თუეზი ვარ და არც იხვი, ბაჭია ვარ, შენსავით პატარა ბაჭია. მიწაზე ნავარდი მიყვარს, წყალში ჩემს სიცოცხლეში არ ჩავსულვარ, მაგრამ, სანამ შენ აქა დგახარ, ვერ ამოვდივარო, - ტუნების ცმაცუნით გაეპასუხა და გასაქცევად მომზადებულ თანამომქმეს თვალი თვალში გაუყარა.

მთის ფერდობზე წკრიალ-წკრიალით მოხტოდა ანკარა წყარო, ბაჭია კი გამქრალიყო.



შხატარი 6060 სიხარულიძე

ყველაზე ჭკვიანები კლასში



კონკურსმა ბავშვებს შორის „ყველაზე ჭკვიანის“ გამოსავლენად სატელევიზიო კერანიდან სკოლებში გადაინაცვლა. თბილისის 74-ე საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლეები ყოველი სასწავლო სემესტრის შემდეგ განვილილი მასალის შესავაგებლად აწყობენ ამ სახის კონკურსს. ამჯერად ჩვენი სტუმრები არიან პირველი გამარჯვებულები: **გიორგი არსენიძე** და **მაიკო კვალანიძე**



- „ყველაზე ჭკვიანობა“ პირველ ყოვლისა, გილოცავთ ამ გამარჯვებას. ახლა კი ვკითხვარ, კონკურსის შესახებ გვიამბოთ: როგორ ემზადებოდით? რა სახის კითხვები იყო? რამდენი მოსწავლე მონაწილეობდით?

- თავიდან 26 მონაწილე ვიყავით, მეორე ტურში 14 დავრჩით, საბოლოოდ კი ჩვენ ორმა გავიმარჯვეთ.

- დარწმუნებული იყავით, რომ გამარჯვებდით?

- იმდენი ვიმეცადინე, რომ წამელო, გავვიცდებოდი.

- ისეთი ჭკვიანები ხართ, რომ კონკურენტებიც არ გვცადათ?

- ჩვენს კლასში ბევრი ნიჭიერი ბავშვაა, მაგრამ ზოგი ღელავდა და იმიტომ ვერ გამარჯვდა, თან ძნელი კითხვები იყო. ერთი ჩემი ძმაცაქცია, ისიც ძალიან ჭკვიანია, მაგრამ არ იყენებს თავის ჭკვას, ეხარება.

- გვანტირებდით, როგორი დღის განრიგი იქნებოდა?

- სკოლიდან რომ მივალ, ვკვამ, ტელევიზორს ვუკრებ და მერე სამეცადინოდ ვჯდები. ეზოში რამდენი თვია, არ ჩავსულვარ. კიდევ ცეკვაზე დაედივარ.

- სკოლაში შესვენებაზე როგორ ერთობით?

- გოგოები შესვენებაზე ცარცს ტყეოლად ხარავდენ, დაფაზე მასწავლებელს ვყავილებს და რაღაცებს უხატავენ.

- სხვა კონკურსებს და ღონისძიებებსაც აწყობთ?

- კი. ახალ წელს გვექონდა ზეიმი და მე იამაიკელი თავი ვიყავი: იქ თურმე ახალ წელს ვყავი-ლებიდან გვირგვინს აკეთებენ და ჩანჩქერთან მიდიან, ძალია რომ შეემატოთ.



- სკოლაში კედლის გაზეთი თუ გაქვთ?

- არა; ერთი კედელი გვაქვს და იქ არის გაკრული, ვინ ოთხოსანია, ვინ ხუთოსანი.

- საინტერესოა, ჭკვიანი ბავშვები აკურატულები არიან? წერის დროს რამე რომ შეგეშალოთ, ამოხვეთ, წაშლით თუ ფრჩხილებში ჩასვამთ?

- არა, არც ვხვებ და არც ვშლი და, საერთოდაც, არც არაფერი მეშლება.

- მართალია, ჯერ ამისთვის პატარები ხართ, მაგრამ მომავალ პროფესიაზე ზომ არ გიფიქრიათ?

- მე ბურისტი უნდა გამოვიდე.

„დილა“ გილოცავთ გამარჯვებას და დიდ წარმატებებს გისურვებთ.

- ყველანი იგივე კითხვები იყო: სკოლის სახელმძღვანელოდან, კლასგარეშე წიგნებიდან, იყო ასეთიც - ვინ არის საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე...

- სულ მთლად არა.

კონკურენტებიც არ გვცადათ?

- ზოგმა ვერ გაიგო და ვაულები: გვითხრეს, რაც არ იცით, იმ კითხვას ხაზი გაუსვითო, ერთმა კი, რაც იცოდა, იმას გაუსუხა ხაზი და ვერ გავიდა.

განრიგი აქვთ ჭკვიან ბავშვებს?

- სკოლის მერე ხან ვმეცადინებო, ხან ვთამაშობ.

- მე სახლიდან მომამქვს ცარცი.

ღონისძიებებსაც აწყობთ?

- იმ ზეიმზე „სათაგური“ დაეღვით. ყველანი სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული თავგები ვიყავით და იმ ქვეყნის ამბებს ვყვებოდით - სად როგორ ხვდებიან ახალ წელს. მე საქართველოზე მოვეყვი, მეკვლეზე, ჩინილაკზე...

გაზეთი თუ გაქვთ?

- შეიძლება ხუთოსანი ოთხოსანი გახდეს ან პირიქით და ის გადაინაცვლებს ხოლმე წინ ან უკან.

- მე ხანდახან მეშლება და საშუალებით ვშლი.

- ჯერ არ ვიცი, არ გადამიწყვეტია, რა გამოვიღო.

ესაუბრა მაია წიწვიშვილი



ბომბორა და მისი მეგობრები

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ზომა-ლაზიაში დაიბადა ლეკვი, რომელსაც ბომბორა დაარქვეს. ბომბორას დედა ერთმა ოჯახში იყიდა, ლეკვი კი მარტო დარჩა. უკვე სამი თვის იყო, როცა მალაზიის კარი თოლორაიების ოჯახში შეაღო. ბავშვებს ბომბორა დანახვისთანავე შეუყვარდათ და თან წაიყვანეს. ბომბორას ძალიან მოეწონა მათი ორსართულიანი სახლი, დიდი ეზო და აუზი. მთელი დღე დახტოდა, თამაშობდა და თავს ბედნიერად გრძნობდა.

ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ თოლორაიების ოჯახში სამოგზაუროდ წასვლა არ გადაწყვიტა. გადაწყდა, ბომბორა ოჯახის მეგობართან – დათოსთან დაეტოვებინათ. დათო ბომბორას კარგად უვლიდა, მაგრამ ძალიან გაშუღმებით თავის პატრონებზე ფიქრობდა. ერთ საღამოსაც იგრძნო, რომ ძალიან მოენატრა ისინი და გადაწყვიტა საძებნელად წასულიყო. მერე დღეს, როცა დათო შინიდან გავიდა, ბომბორა ღობეზე გადახტა და ტყისკენ გაემართა. სახლში დაბრუნებულმა დათომ, ძალიან რომ არ დახვდა, თოლორაიებს დაურეკა. ისინიც შეწუხდნენ და შინ წამოსვლა გადაწყვიტეს.

ამასობაში ბომბორა ტყე-ტყე დახეტიალებდა, რადგან არ იცოდა, სად ეძებნა თავისი პატრონები. ამ ხეტიალში მასავით ტყეში დაკარგული ძაღლი, მურია გაიცნო. ბომბორამ

თავისი ამბავი უამბო, მურიამ – თავისი. ძაღლები დამეგობრდნენ. მერე ტყის ფერდობს ჩაუყვანენ და მდინარესთან აღმოჩნდნენ. წყალს რომ სვამდნენ, ბავშვის ყვირილი შემოესმათ. ხმას გაჰყვანენ და დანახეს, რომ პატარა ბიჭი იხრჩობოდა. ბომბორა მამინევე წყალში გადაეშვა, ბიჭს ხალათში ჩაავლო კბილები და ნაპირზე გაიყვანა. ბიჭს თურმე მთსავით გზა აჰხვევია და, მდინარესთან წყლის დასაღვევად დახრილი, ჩქარ დინებას გაუტაცია. ძალე მის საძებნელად წამოსული მშობლებიც გამოჩნდნენ. ძალიან გაიხარეს, შვილი უვნებელი რომ ნახეს. ბიჭმა უამბო, როგორ გადაარჩინეს სიკვდილს ბომბორამ და მურიამ და უფროსებს სთხოვა, ორივე სახლში წაეყვანათ. ასე აღმოჩნდნენ მეგობრები ბიჭის ოჯახში. ერთხელ ბიჭის მამა შინ ახალი ამბით დაბრუნდა: ზომალაზიაში ბომბორას სურათი ენახა და გაეგო, რომ მას პატრონები ეძებდნენ. გადაწყვიტეს, მერივე მიეყვანათ და დაეტოვებინათ, სანამ თოლორაიები მაკითხავდნენ. მურიას ვეტერინარის ხსენებაზე ცუდი მოგონებები აეშალა. მან ბომბორასაც გაანდო თავისი შიში და გადაწყვიტეს, ერთად გაპარულიყვნენ. ასეც მოიქცნენ.

ერთი კვირა უპატრონოდ დაწაწალებდნენ ქუჩა-ქუჩა, ნაგავსაყრელზე ნაპოვნი საჭმლის ნარჩენებით იკვებებოდნენ. ბომბორამ ვერა და ვერ მიაგნო თოლორაიების სახლს, მაგრამ შემთხვევით ისევ იმ ბიჭის ეზოს მიადგნენ, ბომბორამ დახრჩობას რომ გადაარჩინა. ბიჭი ეზოში თამაშობდა. ძაღლები მხიარულად აყუფდნენ, ბიჭმაც გაიხარა, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოიარა იმ საშიშმა ფურგონმა, რომლითაც უპატრონო ძაღლებს იჭერენ. ბიჭის მამა რომ არა, ვინ იცის, სად აღმოჩნდებოდნენ ბომბორა და მურია. ბიჭის მშობლებმა მერივე დღესვე თოლორაიების მისამართი და ტელეფონის ნომერი გაიკვს და ბომბორას ადგილსამყოფელი შეატყობინეს. თოლორაიები მანქანით მოვიდნენ. ბავშვები ბომბორას გულში იკარგდნენ და ეყვებოდ-



ნენ, მერე მანქანაში ჩასვეს და წასასვლელად მოეჭზადნენ. მურია დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით. ბიჭმა მშობლები დაითანხმა და მურია თავისთან დაიტოვა.

დადგა ახალი წლის დამე. თოლორაიებს ნაძვის ხის მორთვა დაემთავრებინათ, სხვა სამზადისსაც მორჩენილიყვნენ და ახლა მეზობლად მცხოვრებ მარტოხელა დეიდა თამართან მიდიოდნენ მისახმარებლად. ბობორას საჩუქრებით სავსე კალათი მიჰქონდა. დეიდა თამართან სხვა მეზობლებიც დახვდნენ და ყველამ ერთად მორთო ნაძვის ხე. თორმეტ საათს წუთებოდა აკლდა, თოლორაიები შინ რომ დაბრუნდნენ და საახალწლოდ გაწვობილ მაგიდას შემოუსხდნენ.

სათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა. დიდი ყრიამულისა და მხიარულების მერე ყველა დასამინებლად წავიდ-წამოვიდა. ბობორა იწვა და საფვარელ ადამიანებზე ფიქრობდა. სინუმეში ბუხრის მხრიდან რაღაც ხმაური მოესმა. გაიხედა და თოვლის ბაბუა დაინახა. თურმე მან ყველაფერი იცოდა: ისიც, როგორ გადაარჩინა ბობორამ ბიჭი დახრჩობას, ისიც, როგორ დაეხმარა მურიას ოჯახის პოვნაში, ისიც, დეიდა თამარს ახალ წელს მარტოობა



მხატვარი გიორგი ლოლა

რომ არ აგრძნობინა. მან ბობორას ნანატრი საჩუქარი - რეზინის სათამაშო ძაღლი გადასცა და გაუჩინარდა.

ბობორა ნაძვის ხის ქვეშ ხალიჩაზე გაწვა. გული ბედნიერებით და სიხარულით ჰქონდა სავსე. საჩუქარი წინ ელო. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. ნელ-ნელა დახუჭა თვალები და ხვალინდელი ბედნიერი დღის მოლოდინში ტკბილად ჩაეძინა.

მამუკა სალუქვაძე

მინაწითლები



ღამაზია ვეროზა,
საოცრად ღამაზია,
მეგრამ არანაკლებად
ღამაზია

ჩვეულებრივ ჭრილობას,
სახიკვიდილოს კი არა,
პოეტების ენაზე
წვოდება

დღე და დამე (ვეცხლზე იწვის,
სამინეული ადგას ჯაფა,
მეგრამ მხოლოდ ქვაბმა იცის,
თუ რა ტანჯავს უძლებს



მხატვარი 6060 სინარულიძე



თაკო ვაზია
7 წლის

მდინარის კარი

დავდიოდი მდინარ-მდინარე,
რა მთა არ გადავიარე,
რა ცხოველი არ დავინახე,
მაგრამ ჩემი ნამდვილი თვაი
ვერ დავინახე.



ნათათიო
ფურცხვაანიძე
7 წლის



ამოვორდება ცაზე,
შუადის ოდენა შივარე,
კამკაშა ვარსკვლავები,
ძიუსნდებიან ვკურდზე.
ძილის წინ ჰატარა ვოვო
ზირჯვარს დიწვრს ღმერთზე.

გაზაფხული

ანი შველიძე
6 წლის



ია როცა ვაიძლება,
ძინდორ-ველი ვაღაღდება,
უვლაფერი ააღდება,
უვლაფერი ვაძწვანდება,

ნიტი ბუდეს ვაიკეთებს,
იჭიკჭიკებს, შორთავს სტევენას,
ვაზაფხული შემოსულა! -
სისარულით იტყვის უვლა.



ამ ნახატის ავტორი **სოფიკო ბაღოშვილი** 11 წლისაა და მოსკოვში ცხოვრობს. აეგვიპტის ღეღ-ოფალი" 9 წლისამ დახატა და სახელიც თვითონ შეურჩია. ზაფხულობით სოფიკო მამაპაპისეულ სოფელში ანანურში ჩამოდის. ვინ იცის, იქნებ მისმა უჩვეულო ფანტაზიამ სწორედ აქ არაგვის ნაპირებზე იხილოს თავისი მომავალი ნახატების თემები.



ანა
ანასაძა

ბიორბი
ბიორბიძა

თაკლა
თაკლაძა

თამთა
თამთაძე

ნინო
ნინოძე

F343
2005
ფილი და ალექსი
მეორეულიანი
საქართველო
2005 წლის

521/16



დედა

მამა

მამა

